

შპს „აშენდი ჯგუფი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:	
1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	19
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	20
6. საინვესტიციო ქონება	21
7. ძირითადი საშუალებები	22
8. ბიოლოგიური აქტივები	23
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
11. მარაგები	23
12. საწესდებო კაპიტალი	24
13. გაუნაწილებელი მოგება	24
14. საბანკო სესხები	24
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
16. შემოსავალი	25
17. ფერმაში გაწეული დანახარჯები	25
18. საკონსულტაციო ხარჯები	25
19. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი	25
20. სხვა ხარჯები	26
21. მოგების გადასახადი	26
22. ფინანსური რისკების მართვა	26
23. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	29
24. პირობითი ვალდებულებები	29
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აშენდი ჯგუფის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „აშენდი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით დავსწრებოდით ჯგუფის ბიოლოგიური აქტივებისა და მარაგების ფიზიკური ინვენტარიზაციის პროცესს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული ბიოლოგიური აქტივებისა და მარაგების ნაშთის სისწორეში, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შესაბამისად 1 529 ლარისა და 391 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ ბიოლოგიურ აქტივებთან და მარაგებთან მიმართებით. რადგან ბიოლოგიური აქტივებისა და მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ჩვენ ასევე ვერ დავრწმუნდით სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტების სისწორეში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჩვენ, 2019 წლის აუდიტის ფარგლებში, ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებების აუდიტი. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს ნექსია თიეის სახელით

2020 წლის 25 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს ნექსია თივის სახელით

2020 წლის 25 სექტემბერი

თბილისი, საქართველო



შპს „აშენდი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიები
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2019	31-დეკ-2018 გადაანგარიშებული*	1-იან-2018 გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	6	19 876	9 603	5 996
ძირითადი საშუალებები	7	5 141	3 829	453
ბიოლოგიური აქტივები - მოსაშენებელი ღორები	8	807	-	-
არამატერიალური აქტივები		26	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		25 850	13 432	6 449
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9	812	1 550	444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	668	557	163
მარაგები	11	391	-	-
ბიოლოგიური აქტივები - გოჭები	8	722	-	-
საგადასახადო აქტივები		51		
სხვა აქტივები		3	1	
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 647	2 108	607
სულ აქტივები		28 497	15 540	7 056
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	17 900	11 954	5 539
გაუნაწილებელი მოგება	13	3 971	3 461	1 506
სულ კაპიტალი		21 871	15 415	7 045
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საბანკო სესხები	14	5 699	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 699	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	412	65	-
საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი	14	515	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	60	11
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		927	125	11
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		28 497	15 540	7 056

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
დირექტორი

თამარ ჯეთერიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „აშენდი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიები
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-2019	31-დეკ-2018 გადაანგარიშებული*	1-იან-2018 გადაანგარიშებული*
გრძელვადიანი აქტივები				
საინვესტიციო ქონება	6	19 876	9 603	5 996
ძირითადი საშუალებები	7	5 141	3 829	453
ბიოლოგიური აქტივები - მოსაშენებელი ლორები	8	807	-	-
არამატერიალური აქტივები		26	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		25 850	13 432	6 449
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9	812	1 550	444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	668	557	163
მარაგები	11	391	-	-
ბიოლოგიური აქტივები - გოჭები	8	722	-	-
საგადასახადო აქტივები		51		
სხვა აქტივები		3	1	
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 647	2 108	607
სულ აქტივები		28 497	15 540	7 056
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	17 900	11 954	5 539
გაუნაწილებელი მოგება	13	3 971	3 461	1 506
სულ კაპიტალი		21 871	15 415	7 045
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საბანკო სესხები	14	5 699	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 699	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	412	65	-
საბანკო სესხების მიმდინარე ნაწილი	14	515	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	60	11
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		927	125	11
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		28 497	15 540	7 056

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
დირექტორი



თამარ ჯეთერიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს “აშენდი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიები
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 გადაანგარიშებული*
საიჯარო შემოსავალი	16	3 549	3 180
ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებული შემოსავალი	16; 8	694	-
სულ შემოსავალი		4 243	3 180
შრომის ანაზღაურება		(1 121)	(455)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6; 7	(872)	(435)
ფერმაში გაწეული დანახარჯები	17	(725)	-
საგადასახადო ხარჯი		(161)	(91)
კომუნალური ხარჯები		(158)	(98)
საკონსულტაციო ხარჯები	18	(147)	-
დაცვის ხარჯი		(19)	(21)
საოპერაციო მოგება		1 040	2 080
საპროცენტო შემოსავალი	19	36	15
საპროცენტო ხარჯი	19	(64)	-
სხვა ხარჯები	20	(502)	(140)
მოგება დაბეგვრამდე		510	1 955
მოგების გადასახადის ხარჯი	21	-	-
წლის წმინდა მოგება		510	1 955
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		510	1 955

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
 დირექტორი

თამარ ჯეთერიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "აშენდი ჯგუფის" და მისი შვილობილი კომპანიები
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018 გადაანგარიშებული*
საიჯარო შემოსავალი	16	3 549	3 180
ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებული შემოსავალი	16; 8	694	-
სულ შემოსავალი		4 243	3 180
შრომის ანაზღაურება		(1 121)	(455)
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6; 7	(872)	(435)
ფერმაში გაწეული დანახარჯები	17	(725)	-
საგადასახადო ხარჯი		(161)	(91)
კომუნალური ხარჯები		(158)	(98)
საკონსულტაციო ხარჯები	18	(147)	-
დაცვის ხარჯი		(19)	(21)
საოპერაციო მოგება		1 040	2 080
საპროცენტო შემოსავალი	19	36	15
საპროცენტო ხარჯი	19	(64)	-
სხვა ხარჯები	20	(502)	(140)
მოგება დაბეგრამდე		510	1 955
მოგების გადასახადის ხარჯი	21	-	-
წლის წმინდა მოგება		510	1 955
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		510	1 955

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
 დირექტორი



თამარ ჯეთერიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს “აშენდი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიები
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 12)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 13)	სულ კაპიტალი
1-იან-2018 გადაანგარიშებული*	5 539	1 506	7 045
კაპიტალის შევსება	13 585	-	13 585
კაპიტალის შემცირება	(7 170)	-	(7 170)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1 955	1 955
31-დეკ-2018 გადაანგარიშებული*	11 954	3 461	15 415
კაპიტალის შევსება	5 946	-	5 946
კაპიტალის შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	510	510
31-დეკ-2019	17 900	3 971	21 871

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
 დირექტორი

თამარ ჯეთერიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "აშენდი ჯგუფის" და მისი შვილობილი კომპანიები
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 12)	გაუნაწილებელი მოგება (შენიშვნა 13)	სულ კაპიტალი
1-იან-2018 გადაანგარიშებული*	5 539	1 506	7 045
კაპიტალის შევსება	13 585	-	13 585
კაპიტალის შემცირება	(7 170)	-	(7 170)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1 955	1 955
31-დეკ-2018 გადაანგარიშებული*	11 954	3 461	15 415
კაპიტალის შევსება	5 946	-	5 946
კაპიტალის შემცირება	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	510	510
31-დეკ-2019	17 900	3 971	21 871

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხილეთ შენიშვნა 5.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
 დირექტორი



თამარ ჯგერტიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს “აშენდი ჯგუფის“ და მისი შვილობილი კომპანიები
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი ნაკადები		4 274	3 613
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი ნაკადები		(1 841)	(1 571)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(1 169)	(476)
გადახდილი პროცენტი		(50)	-
გადახდილი ბანკის საკომისიო		(8)	(6)
მიღებული პროცენტი		37	15
გადახდილი გადასახადები		(750)	557
საოპერაციო საქმიანობაში გახარჯული წმინდა ფულადი სახსრები		493	2 132
საინვესტიციო საქმიანობა			
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	6	(10 799)	(3 973)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(1 711)	(3 469)
ბიოლოგიური აქტივების შესყიდვა	8	(835)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(13 345)	(7 442)
ფინანსური საქმიანობა			
მიღებული საბანკო სესხები	14	6 200	-
საწესდებო კაპიტალის შევსება	12	5 946	13 586
მფლობელთა კაპიტალის შემცირება	12	-	(7 170)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		12 146	6 416
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(706)	1 106
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(32)	-
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	1 550	444
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	812	1 550

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
 დირექტორი

თამარ ჯეთერიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "აშენდი ჯგუფის" და მისი შვილობილი კომპანიები
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოხმარებლებისგან მიღებული ფულადი ნაკადები		4 274	3 613
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი ნაკადები		(1 841)	(1 571)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(1 169)	(476)
გადახდილი პროცენტი		(50)	-
გადახდილი ბანკის საკომისიო		(8)	(6)
მიღებული პროცენტი		37	15
გადახდილი გადასახადები		(750)	557
საოპერაციო საქმიანობაში გახარჯული წმინდა ფულადი სახსრები		493	2 132
საინვესტიციო საქმიანობა			
საინვესტიციო ქონების შესყიდვა	6	(10 799)	(3 973)
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	7	(1 711)	(3 469)
ბიოლოგიური აქტივების შესყიდვა	8	(835)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(13 345)	(7 442)
ფინანსური საქმიანობა			
მიღებული საბანკო სესხები	14	6 200	-
საწესდებო კაპიტალის შევსება	12	5 946	13 586
მფლობელთა კაპიტალის შემცირება	12	-	(7 170)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		12 146	6 416
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(706)	1 106
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(32)	-
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	1 550	444
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	812	1 550

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2020 წლის 25 სექტემბერს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ნუგზარ კუბლაშვილი
დირექტორი



თამარ ჯეთერიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 11-30 გვერდებზე წარმოადგენს ამ წინასწარი ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „აშენდი ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2012 წლის 2 ივლისს შპს „ელიავა-2“-ის სახელწოდებით. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო იამზე გუმბერიძე. 2016 წლის 19 ივლისს კომპანიაში შეიცვალა მფლობელთა წილები: იამზე გუმბერიძის კუთვნილი 50%-იანი წილი შეისყიდა რუსლან გურიევმა.

2018 წლის 14 ნოემბერს კომპანიამ შეიცვალა საფირმო სახელწოდება: „ელიავა-2“ შეიცვალა „აშენდი ჯგუფი“-ით. იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა საინვესტიციო ქონების გაქირავება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დისტრიბუცია

კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონი, ხოშარაულის ქუჩა N29.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის წილები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მფლობელი	წილი (%)	წილი (%)	წილი (%)
იამზე გუმბერიძე	50%	50%	50%
რუსლან გურიევი	50%	50%	50%
სულ	100%	100%	100%

2. მომზადების საფუძვლები

ფასს - ებზე გადასვლა

ეს ფინანსური ანგარიშგება, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის არის პირველი, რომელიც ჯგუფმა მოამზადა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ჯგუფის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 1 იანვრისთვის, რაც წარმოადგენს ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის აღნიშნული.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით. აღნიშნულზე მსჯელობისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, მომგებიანობა, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და გაუნაწილებელი მოგების ოდენობა, რაც საშუალებას მისცემს ჯგუფს განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლი გულისხმობს მშობელი კომპანიის მიერ შვილობილის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარს მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

მეკავშირე არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციის მიმდები კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ არ წარმოადგენს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში, რომლებიც კომპანიასთან ერთად მოიხსენიება როგორც „ჯგუფი“.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	31-12-2019	31-12-2018	01-01-2018	საქმიანობა
შპს აშენდი სავაჭრო ცენტრი	100%	100%	-	საინვესტიციო ქონების გაქირავება სასოფლო- სამეურნეო პროდუქციის დისტრიბუცია
შპს აშენდი აგრო საქართველო	100%	100%	-	

ორივე შვილობილი საწარმო რეგისტრირებულია საქართველოში.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც ჯგუფი კონტროლს მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები იყო შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766	2.5922
1 EUR/GEL	3.2095	3.0701	3.1044

საშუალო შეწონილი კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1552	2.9913

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება „სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით“, დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პირობა დაკმაყოფილებულია: ა) ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ჯგუფი არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივი ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ჯგუფის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, ჯგუფი ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან ამკარაა მისი გაუფასურება, ჯგუფი ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს (ECL). ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ECL არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრული შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება ზარალში.

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას „ფას 9“ ის შესაბამისად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე, დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს „შინაარსის ფორმაზე აღმატებულების“ პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება
- კონტროლის გადაცემის შეფასება

სრულად მოხდება აქტივების აღიარების შეწყვეტა, თუ აქტივები აღიარდება მხოლოდ ჯგუფის შენარჩუნებული მოცულობის მიხედვით, დამოკიდებულია თითოეული ფაქტის დეტალურ ანალიზზე.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

- *სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).* ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან
- თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
- *სხვა ფინანსური ვალდებულებები.* ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. როგორც წესი, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება სავაჭრო და სხვა ვალდებულება და მიღებული სესხები. ჩვეულებრივ, არ ხდება იმ ვალდებულებების გადაფასება, რომლებიც კლასიფიცირებულია ამ კატეგორიაში, ვინაიდან ვალდებულების სიზუსტე მაღალია, ხოლო დაფარვის ვადა მოკლევადიანი.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც ჯგუფმა მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია). თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს, ჯგუფმა ეს ხელშეკრულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა ასახოს სახელშეკრულებო აქტივის ან სახელშეკრულებო ვალდებულების სახით, იმისდა მიხედვით, რა მდგომარეობაა ჯგუფის მიერ ვალდებულების შესრულებისა და მომხმარებლის მიერ გადახდის კუთხით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება აღირიცხება მათი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყის ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებებისა ან/და საინვესტიციო ქონების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით. თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის გამოყენების დაწყების შემდეგ. ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების, გარდა მიწისა, ცვეთის განგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის %
შენობა-ნაგებობები (საინვესტიციო ქონება)	5%
მანქანა-დანადგარი და სხვა სისტემები (ძირითადი საშუალება)	20%
ავტოსატრანსპორტო საშუალებები (ძირითადი საშუალება)	20%

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადახედვა და კორექტირება, რათა აისახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

ყველა ხარჯი, რომელიც გაწეულია ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებით (გარდა ბიოლოგიური აქტივის შეძენის ფასის) ჩართულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება ხდება ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, რომლის შემდეგაც მიღებული პროდუქციის აღრიცხვა ხდება ბასს 2 – „მარაგების“ მიხედვით.

ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 8-ში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველა ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ ადგილმდებარეობასთან და მდგომარეობასთან. მაგალითად, სატრანსპორტო ღირებულება, იმპორტის გადასახადი და სხვა პირდაპირ მიეკუთვნება ხარჯები. მარაგების შეფასებისთვის ჯგუფი იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. ჯგუფი შემოსავალს გაწეული მომსახურებიდან ან საქონლის რეალიზაციიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისთვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და შესაძლებელია საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით ჯგუფი ახდენს ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს, განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს, გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება სავალ ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდი, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

ხარჯები აღიარდება საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ შესაძლებელია მომავალში აქტივისგან მისაღები სარგებლის შემცირების ან ვალდებულების ზრდის საიმედოდ განსაზღვრა. მომსახურების გაწევის განმავლობაში წარმოშობილი დანახარჯები გამოითვლება აღიარებული შემოსავლის პროპორციულად.

ხარჯი საერთო შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ის მომავალში არ წარმოშობს ეკონომიკურ სარგებელს, ან იმ შემთხვევაში, თუ არ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების პირობებს.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის გაწევა თანამშრომლების მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის

ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში. გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის მოგება - ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა და პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისათვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი: გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც ფასს 9 - ის, ასევე ბასს 39 - ის შესაბამისად, ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების, ასევე უზრუნველყოფის საგნის ღირებულების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ეს პროგნოზი ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა განაპირობოს რეზერვის სხვადასხვა დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაანგარიშებლად ჯგუფი იყენებს ვადაგადაცილებულ დღეებზე დაფუძნებულ მოდელს, რომელიც ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას. ჯგუფი ასევე ითვალისწინებს უზრუნველყოფის საგნიდან ამოღებად თანხას ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომლითაც ამცირებს რეზერვის მოცულობას.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები: ჯგუფმა იმსჯელა ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადების დადგენაზე, იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დამკველბა, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობამ განახორციელა თავისი საუკეთესო შეფასებები, აქტივებში განვითარებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სტრუქტურის შესაქმნელად, იგი შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებიდან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშში მოყვანილ ციფრებზე.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება: საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა. როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 6 - ში, საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, თუმცა ხელმძღვანელობამ შემოსავლების მიდგომის გამოყენებით განსაზღვრა ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. აღნიშნული შეფასებისას ხელმძღვანელობამ მიმართა მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი. ჯგუფმა 2019 წელს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად დაიქირავა

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელმაც საინვესტიციო ქონება შეაფასა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება : ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა. როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 8-ში, ბიოლოგიური აქტივები აღრიცხულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

საგადასახადო კანონმდებლობა: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებოდნენ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა.

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის: ჯგუფის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ჯგუფი დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ჯგუფმა გამოავლინა სააღრიცხვო შეცდომები წინა პერიოდის წინასწარ ფინანსურ ანგარიშგებაში და მოახდინა მათი გასწორება მიმდინარე პერიოდში. აღნიშნულ შესწორებებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, საგადასახადო აქტივის, საწესდებო კაპიტალის, საინვესტიციო ქონების, ძირითადი საშუალებებისა და გაუნაწილებელი მოგების ნაშთებზე.

შეცდომების გასწორებამ და რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1 იანვარი, 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია/კორექტირება	კორექტირებული თანხები
საგადასახადო აქტივი	534	(545)	(11)
გაუნაწილებელი მოგება	2 056	(545)	1 511

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2018	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია/კ ორექტირება	კორექტირებული თანხები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 742	(3 185)	557
საგადასახადო აქტივი	573	(636)	(63)
საწესდებო კაპიტალი	15 139	(3 185)	11 954
გაუნაწილებელი მოგება	4 041	(636)	3 405
საინვესტიციო ქონება	12 250	(2 647)	9 603
ძირითადი საშუალებები	1 182	2 647	3 829

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია/კ ორექტირება	კორექტირებული თანხები
საგადასახადო ხარჯი	-	(91)	(91)

6. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა-ნაგებობები	სულ
თვითღირებულება		
1 იანვარი 2018	7 122	7 122
შეძენა	3 973	3 973
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2018	11 095	11 095
შეძენა	10 799	10 799
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2019	21 894	21 894
დაგროვილი ცვეთა		
1 იანვარი 2018	(1 126)	(1 126)
წლის ცვეთის დარიცხვა	(366)	(366)
31 დეკემბერი 2018	(1 492)	(1 492)
წლის ცვეთის დარიცხვა	(526)	(526)
31 დეკემბერი 2019	(2 018)	(2 018)
საბალანსო ღირებულება		
1 იანვარი 2018	5 996	5 996
31 დეკემბერი 2018	9 603	9 603
31 დეკემბერი 2019	19 876	19 876

ჯგუფის საინვესტიციო ქონება შედგება 24 955 კვ.მ. მიწისგან და 19 386,7 კვ. მ. შენობებისგან.

შპს “აშენდი ჯგუფი” და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

6. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, მისი რეალური ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 35 424 ათას ლარს, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 24 625 ათას ლარს, ხოლო 1 იანვრის მდგომარეობით - 24 721 ათას ლარს. ჯგუფმა 2019 წელს საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად დაიქირავა დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელმაც საინვესტიციო ქონება შეაფასა 31.12.2018 მდგომარეობით. შეფასების დღემდე ჯგუფს არ დაუქირავებია ექსპერტები საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების დასადგენად. რეალური ღირებულების შეფასება განხორციელდა ხელმძღვანელობის სახელით ჯგუფის შიდა თანამშრომლების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება. რეალური ღირებულების დადგენისას გამოყენებული იქნა შემოსავლების მიდგომა, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი. რაც შეეხება 2019 წელს, ჯგუფის მენეჯმენტმა ბაზრის კვლევიდან გამომდინარე ჩათვალა, რომ მატერიალურად არ შეცვლილა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება. შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ქონების საბაზრო ღირებულებისა და 2019 წელს შეძენილი საინვესტიციო ქონებების ჯამს.

შპს აშენდი ჯგუფმა 2019 წელს აიღო გრძელვადიანი სესხი 6 200 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხი უზრუნველყოფილია საინვესტიციო ქონებით, კერძოდ : ქ.თბილისში ხოშარაულის N29 - ში მდებარე 24 955 კვ.მ.-ში მდებარე მიწის ნაკვეთი მასზე არსებული ნაგებობებით - N1-N7.

7. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები სხვა სისტემები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება					
1 იანვარი 2018	588	72	44	-	704
შეძენა	2 292	686	129	362	3 469
გასვლა	-	(3)	(25)	-	(28)
31 დეკემბერი 2018	2 880	755	148	362	4 145
შეძენა	-	534	233	944	1 711
გასვლა	-	(4)	(55)	-	(59)
გადატანა	796	-	-	(796)	-
31 დეკემბერი 2019	3 676	1 285	326	510	5 797
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2018	(204)	(40)	(7)	-	(251)
ცვეთის დარიცხვა	(28)	(25)	(17)	-	(70)
ჩამოწერა	-	-	5	-	5
31 დეკემბერი 2018	(232)	(65)	(19)	-	(316)
წლის ცვეთის დარიცხვა	(85)	(204)	(56)	-	(345)
ჩამოწერა	-	-	5	-	5
31 დეკემბერი 2019	(317)	(269)	(70)	-	(656)
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2018	384	32	37	-	453
31 დეკემბერი 2018	2 648	690	129	362	3 829
31 დეკემბერი 2019	3 359	1 016	256	510	5 141

შპს "აშენდი ჯგუფი" და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

8. ბიოლოგიური აქტივები

	მოსაშენებელი ლორები	გოჭები	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
შეძენა	835	-	835
მიღებული გოჭები	-	722	722
რეალური ღირებულების ცვლილების შედეგი	(28)	-	(28)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	807	722	1 529

ჯგუფის ბიოლოგიური აქტივები შედგება მოსაშენებელი ღორებისა და მათგან მიღებული გოჭებისგან. ბიოლოგიური აქტივები აღრიცხულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ჯამურად, ბიოლოგიური აქტივების გამრავლებისა და რეალური ღირებულების ცვლილებისგან მიღებული წმინდა შემოსავალი 2019 წლისთვის შეადგენს 694 ათას ლარს.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
ფული სალაროში	28	6	-
ფული ბანკში	784	1 544	444
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	812	1 550	444

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარისკო.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
მოთხოვნები იჯარიდან	623	457	153
წინასწარ გადახდილი ავანსები	45	100	10
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	668	557	163

11. მარაგები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
ნედლეული და მასალები	119	-	-
ღორის საკვები	115	-	-
სათადარიგო ნაწილები	47	-	-
სადეზინფექციო ხსნარები	40	-	-
ვეტერინალური ინსტრუმენტები	37	-	-
სპეცტანსაცმელი	33	-	-
სულ მარაგები	391		

12. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ჯგუფის დამფუძნებლების მიერ განხორციელებული შენატანებისგან. 2019 წლის 31 დეკემბერის, 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალის ოდენობა იყო შესაბამისად 17,900 ათასი ლარი, 11 954 ათასი ლარი და 5 539 ათასი ლარი. 2019 და 2018 წლებში საწესდებო კაპიტალის შევსება და შემცირება განხორციელდა მხოლოდ ფულადი ფორმით.

13. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს ჯგუფის საკუთრებაში დარჩენილ წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. ჯგუფს დივიდენდები არ გამოუცხადებია 2018-2019 წლების განმავლობაში.

14. საბანკო სესხები

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	მოქმედების ვადა	31-დეკ- 2019	31-დეკ- 2018	1-იან- 2018
გრძელვადიანი სესხი						
სს "თი ბი სი ბანკი"	GEL	13,75%	13-12-2024	1 101	-	-
სს "თი ბი სი ბანკი"	GEL	9,75%	20-12-2026	4 598	-	-
სულ გრძელვადიანი სესხი				5 699	-	-
სესხის მიმდინარე ნაწილი						
სს "თი ბი სი ბანკი"	GEL	13,75%	13-12-2024	107	-	-
სს "თი ბი სი ბანკი"	GEL	9,75%	20-12-2026	407	-	-
სულ სესხის მიმდინარე ნაწილი				515	-	-
სულ სესხები				6 214	-	-

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	406	65	-
მიღებული ავანსი	6	-	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	412	65	-

16. შემოსავალი

	2019	2018
სავაჭრო ცენტრის გაქირავებიდან	3 549	3 107
პარკინგის გაქირავებიდან	-	73
ბიოლოგიურ აქტივებთან (შენიშვნა 8) დაკავშირებული შემოსავალი	694	-
სულ შემოსავლები	4 243	3 180

ჯგუფის შემოსავლები შედგება საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლებისგან. ჯგუფის შემოსავალმა 2019 წლის განმავლობაში ჯამურად შეადგინა 3 549 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს - 3 180 ათასი ლარი.

ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებული შემოსავალი წარმოშობილია მიღებული გოჭებისგან, რომლებიც შეფასებულია დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და შეადგენს 722 ათას ლარს. ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული ზარალი შეადგენს 28 ათას ლარს, შესაბამისად წმინდა ეფექტი შეადგენს 694 ათას ლარს.

17. ფერმაში გაწეული დანახარჯები

შპს „აშენდი აგრო საქართველოს“ 2019 წელს იჯარით აქვს აღებული ფერმა შპს „აშენდი ჯგუფისგან“. ფერმაში გაწეული დანახარჯები მოიცავს ყველა იმ დანახარჯს, რომელიც გაწია მოიჯარემ ბიოლოგიურ აქტივებთან დაკავშირებით და ძირითადად მოიცავს კვებისა და მოვლის ხარჯებს. 2019 წელს აღნიშნული ხარჯი შეადგენს 725 ათას ლარს (2018: ნული).

18. საკონსულტაციო ხარჯები

	2019	2018
იურიდიული მომსახურება	47	-
მარკეტინგული მომსახურება	30	-
საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურება	29	-
უმრავი ქონების შეფასების მომსახურება	23	-
დისტანციური მომსახურება ფერმის მართვის შესახებ	18	-
სულ საკონსულტაციო ხარჯები	147	-

19. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ჯგუფის ფულადი თანხები განთავსებული აქვს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე, რომელებსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დარიცხულმა საპროცენტო შემოსავლმა შეადგინა 36 ათასი ლარი (2018: 15 ათასი ლარი). სს თიბის ბანკის სესხზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 64 ათასი ლარი (2018: ნული).

20. სხვა ხარჯები

	2019	2018
სამეურნეო ხარჯი	233	48
მიმდინარე რემონტის ხარჯები	66	56
დასუფთავების ხარჯი	53	2
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	51	23
ლაბორატორიის დანახარჯები	45	-
ბანკის მომსახურების საკომისიოს ხარჯი	16	6
საპენსიო ფონდის ხარჯი	26	-
უიმედო ვალი	11	-
საკანცელარიო ხარჯი	1	5
სულ სხვა ხარჯები	502	140

21. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდის სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნება არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე დასარიცხი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებულ თანხაზე (1/85%*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008 – 2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2018 დასრულებული წლისთვის ჯგუფს არ გაუცია დივიდენდი, შესაბამისად არ გადაუხდია მოგების გადასახადი.

22. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

	შენიშვნები	31-დეკ-2019	31-დეკ-2018	1-იან-2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	784	1544	444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	623	457	153
სულ ფინანსური აქტივი		1 407	2 001	597

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა ჯგუფს არ აქვს პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას ჯგუფზე.

სავალუტო რისკი - ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფის ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა ხორციელდება ლარში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს (წარმოებულ ფინანსურ აქტივებს) რომ მართოს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკები. ამავდროულად ჯგუფი ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით. ჯგუფს არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი გარდა სესხისა არის მოკლევადიანი. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ :

შპს "აშენდი ჯგუფი" და მისი შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	31-დეკ-2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები		812	-	-	812
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		623	-	-	623
სულ ფინანსური აქტივები		1 435	-	-	1 435
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(407)	-	-	(407)
საბანკო სესხები		(515)	(3 853)	(1 846)	(6 214)
სულ ფინანსური ვალდებულებები		(922)	(3 853)	(1 846)	(6 621)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია		513	(3 853)	(1 846)	(5 186)

	31-დეკ-2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები		1 550	-	-	1 550
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		457	-	-	457
სულ ფინანსური აქტივები		2 007	-	-	2 007
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(65)	-	-	(65)
სულ ფინანსური ვალდებულებები		(65)	-	-	(65)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია		1 942	-	-	1 942

	1-იან-2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები		444	-	-	444
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		153	-	-	153
სულ ფინანსური აქტივები		597	-	-	597
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები		-	-	-	-
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია		597	-	-	597

23. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის, მშობლები, შვილობილი ჯგუფები და თანამშრომლები); ფლობს წილს ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) ჯგუფის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (ბ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები:

ხარჯები	2019	2018
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების ხელფასები და პრემია	199	52
სულ ფინანსურ ანგარიშგებაში	199	52

24. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ჯგუფის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავა, რომელიც განიხილება პირველ ინსტანციაში. დავის საგანს წარმოადგენს 12 014 ათასი ლარის ღირებულების ქონება. ხელმძღვანელობა ფიქრობს რომ დავა უსაფუძვლოა და მიაჩნია რომ ჯგუფს საკმარისი მტკიცებულება აქვს დავის მოსაგებად, შესაბამისად აღნიშნული თანხის ოდენობაზე ანარიცხის შექმნა არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირი ცვლილებებით, რაც ხშირად არაზუსტია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. გადასახადები ექვემდებარება რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ შემოწმებას და გამოკვლევას, რომლებსაც აქვთ უფლება დააწესონ მკაცრი ჯარიმები, საურავები და დაარიცხონ პროცენტი. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი შესაძლოა გახსნილი იყოს შემოწმებისთვის უფრო მეტხანს. ამ გარემოებებში შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც აქ გაცილებით

24. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მნიშვნელოვანია ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის ასახული მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მის მიერ ინტერპრეტაციის საფუძველზე.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. ჯგუფი მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს. ჯგუფმა 2020 წლის განმავლობაში გეგმიურად განაგრძო საქმიანობა. აქედან გამომდინარე ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფი საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა, რომელიც უნდა აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „აშენდი ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები“

2019 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის განვითარების გეგმები	3
2. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	4
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ.....	4
5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	6
6. პანდემია და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა	6
7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	6

1. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „აშენდი ჯგუფი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა გადასახადის გადამხდელად 2012 წლის 2 ივლისს შპს „ელიავა-2“-ის სახელწოდებით. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო იამზე გუმბერიძე. 2016 წლის 19 ივლისს კომპანიაში შეიცვალა მფლობელთა წილები: იამზე გუმბერიძის კუთვნილი 50%-იანი წილი შეისყიდა რუსლან გურიევმა.

2018 წლის 14 ნოემბერს მშობელმა კომპანიამ შეიცვალა საფირმო სახელწოდება: „ელიავა-2“ შეიცვალა „აშენდი ჯგუფი“-ით. იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.


მშობელი კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონი, ხოშარაულის ქუჩა N29.

2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის წილები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მფლობელი	წილი (%)	წილი (%)	წილი (%)
იამზე გუმბერიძე	50%	50%	50%
რუსლან გურიევი	50%	50%	50%
სულ	100%	100%	100%

შპს აშენდი ჯგუფი ფლობს 2 შვილობილ კომპანიას: შპს აშენდი სავაჭრო ცენტრი და შპს აშენდი აგრო საქართველო. ჯგუფის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ:

ჯგუფის სტრუქტურა:



1 კომპანიის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ორივე შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინვესტიციო ქონების იჯარით გაქირავება და სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება/დისტრიბუცია.

მშობელი კომპანია ფლობს მიწას ელიავას ბაზრის მიმდებარედ, ხოშარაულის ქუჩაზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, რომელიც გაქირავებული აქვს შვილობილ კომპანია შპს აშენდი სავაჭრო ცენტრზე. შპს აშენდი სავაჭრო ცენტრი აღნიშნულ ქონებას აქირავებს საიჯარო შემოსავლების მიღების მიზნით სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

აგრეთვე, მშობელ კომპანიას ასურეთში მდებარე მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები მიქირავებული აქვს მეორე შვილობილ კომპანია შპს აშენდი აგრო საქართველოზე.

შპს აშენდი აგრო საქართველო აღნიშნულ ქონებას იყენებს თავისი ძირითადი საქმიანობისთვის, კერძოდ: აღნიშნულ შენობა-ნაგებობები წარმოადგენს ღორების ფერმას. კომპანიამ შეიძინა უცხოური ჯიშის ღორები, რომელთა მოშენებას აპირებს შემდგომი გამრავლების მიზნით. კომპანიამ ოპერირება დაიწყო 2019 წლის ბოლოს და გეგმავს გაფართოებას. მოსაშენებელი ღორების მიზნობრივ ნიშნულამდე მიღწევის შემდეგ, კომპანია აპირებს მოსაშენებელი ღორებისგან მიღებული გოჭების გაზრდას გარკვეულ პერიოდამდე, შემდეგ დაკვლას და ხორცის რეალიზაციას საქართველოს მასშტაბით.

კომპანიამ ინვესტიცია განახორციელა უცხოური ჯიშის ღორებში. აღნიშნული ჯიშის ღორების სხვა ფერმა არ არსებობს საქართველოში და აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს რომ ქართულ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციისა და ფასებზე ადაპტირების პრობლემებს არ გადააწყდება.

2. ჯგუფის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

2019 წელს მშობელმა კომპანიამ, თავისი და ჯგუფის საკუთრებაში არსებული ქონების სამართლიანი ღირებულების დადგენის მიზნით დაიქირავე საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უძრავი ქონების შემფასებელი კომპანია.

გარდა ამისა, ჯგუფი სისტემატურად აწარმოებს ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტებისა და პროდუქციის შესწავლას, თუმცა ეს ხორციელდება შიდა ძალებით და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფში შემავალი არც ერთი კომპანია არ ფლობდა ფილიალებს 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

31 დეკემბერი 2019 (ათას ლარში)	
ფული და ფულის ეკვივალენტები	784
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	623
სულ ფინანსური აქტივი	1 407

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

საპროცენტო რისკი - ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა ჯგუფს არ აქვს პროცენტის ფინანსური ვალდებულებები, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას ჯგუფზე.

სავალუტო რისკი - ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

კურსის ცვლილებების გამო. ჯგუფის ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა ხორციელდება ლარში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს (წარმოებულ ფინანსურ აქტივებს) რომ მართოს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკები. ამავდროულად ჯგუფი ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მართვის გზით. ჯგუფს არ აქვს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს თავისი ვალდებულებების შესრულება. ჯგუფის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერი ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

4. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ (გაგრძელება)

ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი გარდა სესხისა არის მოკლევადიანი. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ (თანხები მოცემულია ათას ლარში) :

31-დეკ-2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	812	-	-	812
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	623	-	-	623
სულ ფინანსური აქტივები	1 435	-	-	1 435
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(407)	-	-	(407)
საბანკო სესხები	(515)	(3 853)	(1 846)	(6 214)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(922)	(3 853)	(1 846)	(6 621)
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	513	(3 853)	(1 846)	(5 186)

5. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და შესაბამისად არ გააჩნია საკუთარი აქციები, არც სხვა რომელიმე ორგანიზაციის აქციებით ვაჭრობს.

6. პანდემია და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობა

2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, ინდუსტრიების დიდი ნაწილი გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება ჯგუფის რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. ჯგუფის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს ჯგუფის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

ნუზარ კუბლაშვილი
დირექტორი

თამარ ჯეთერიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს აშენდი ჯგუფი
2020 წლის 25 სექტემბერი

7. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. ჯგუფის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს ჯგუფის საქმიანობა, როგორც ფინანსური ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად არის წარმოდგენილი.

ნუგზარ კუბლაშვილი
დირექტორი



თამარ ჯეთერიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს აშენდი ჯგუფი

2020 წლის 25 სექტემბერი